# ერი

№ 10

წელიწადი პირველი

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ოთხშაბათი, 13 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



დრაფი, ბიბერი, ტრიკო, მაუდი.

პაევზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. პირაკოზოვი

და ზ. გ. ოგანოვი

ბუმაზეი, ფლანელი, ვიგონი, შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი

საზამთრო

საქონელი

კოტიკი, პლიუში, ველვეტი.

შაბათობით იყიდება

იაფათ

ნაჭრები.

ველვიური, გენუია, იდეალი, ფლორა.



## 1913 წელი.

ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი

## „ე რ ი“

გაზეთ ს ფას:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . | 1 შაური, |

წლიური ხელისმომწერთ გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენიც ნაწილ-ნაწილათ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.

მისამართი: Кутаисъ—редак. газ. „Ери“. Ивановская, д. В. Чиладзе.

ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლათ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, Кантора газ. „Ери“.

გაზ. „ერის“ კანტორა ღიაა დილის 9—2 და ნაშუადღევს 5—7 საათამდი. კვირა-უქმე დღეებში დილის 8—12.



## ელექტრო თეატრი „რადიუმი“

ასტა ნელსენ.



ასტა ნელსენ.

11, 12, 13-სა და 14 ნოემბერს დიდებული სურათი.

## სუფრაჟისტი ქალი

ხუთმოქმედებიანი მიმიკური პიესა. უმთავრეს როლს შეასრულებს გამოჩენილი მსახიობი ქალი

## ასტა ნელსენ

ადგილების ფასი: ლოჟა—4 აბაზი,
პირველი ადგილი—3 აბაზი.
მეორე—2 აბაზი.
მესამე—6 შაური.

მოწაფე-ფორმაში, მხოლოდ მეორე ადგილზე—6 შაური. კონტრამარკები და აბონომენტის ბილეთები არ მიიღება.

დასაწყისი საღამოს $5^1/_2$ საათზე.



## ქუთაისი

პირველი ნოემბრიდან დადიანის ქუჩაზე საკუთარ სახლში იხსნება

## ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

## პ. ს. ჩინჩალაძისა.

ვღებულობ ანალიზებს! შარდისას, სისხლისას, ნახველისას, თესლისას, კუჭის სითხისას, ქალის რძისასა და სხვა.

ბაქტერიოლოგიური გამორკვევა დიფტერიის ბაცილებისა.

ლაბორატორიიდან ეძლევათ ბატ. აქიმებს ტამპონები ყელში მასალის ამოსაღებათ.



## ქალაქის თეატრი.

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, 1913 წელს გაიმართება

## სალიტერატურო საღამო.

I. განყოფილება.

სამსონ დადიანი წაიკითხავს ლექციას: „მე-XIX საუკ. ქართული კაზმული ლიტერატურა“.

II. განყოფილება

წაიკითხვენ თავის ნაწარმოებთ: სიტყვა (ფირცხალავა), გრ. დიასამიძე, დ. თომაშვილი, დ. მესხი, ჯ. ჯორჯიკია, ა. წუმბაძე, გუცა, სეგდიანი და სხვ.



## განცხადება.

გრძელდება ხელისმოწერა ჟურნალ „სასოფლო გაზეთზე“: 24 ამ თვეს შესრულდება ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი,

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის. წლიური ფასი ჟურნალისა 4 მანეთი, ნახევარი წლის 2 მანეთი. ფულის შემოტანა შეიძლება ორ ჯერათ: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთი 1 მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერს გაეგზავნება ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Кутаисъ. Селскохозяйственная школа Александру Шаращидзе.



ვ...ც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პ ა რ ო ს ი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა.

თ ფ ი ლ ი ს შ ი.



## ახლათ გამოშვებული პაპიროზები

## „დ ე ლ ი - ბ ა ბ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. — ი ყ ი დ ე ბ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.



## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლ..ა მიღებული საქონლები პირველი ღირსებ..., რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნები.. და უკანასკნელ.. მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთ.ისში ბულვარის პირდა..ირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზ.ის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკ.ბი, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშ..ის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ზეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კ..ცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.



## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

## მუდმივი საწოლებით

## თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| დ. ი. ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ. . . . . | 8—10 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . | 12— 2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . . | $12^1/_2$ 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.



## ლაბა ზესტაფონი

აქიმი ლო. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.



**აქიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., სად. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.



**აქიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.



**აქიმმა** ბ. ა. მირაქოვმა დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.



მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

## მ. გალანჩივაძისამ

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.



**ა ქ ი მ ი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.


## ბ-ნი ივ. გომართელი და დასელები.

გაზეთი „თემის“ უკანასკნელ ნუმერში ბ-ნი ივ გომართლის მოკლე წერილია მოთავსებული, რომელიც დასელთა წინააღმდეგ არის მიმართული. მით' უფრო საგულისხმოა ხსენებული წერილი, რომ იგი იმ ადამიანს ეკუთნის, რომელიც ერთ დროს თვით დასელთა სიამაყეს შეადგენდა არა როგორც მხოლოდ კარგი მკურნალი. ავტორი გადაჭრით აცხადებს, რომ მესამე'დასის მიერ ეროვნული საკითხის აბუჩათ აგდება ეს მისივე სიყალბეა და ბევრი ქუთაისის მაგვარი დამარცხება მოელის მას მომავალში, თუ ეროვნულ საკითხს ყურადღება არ მიაქცია. როგორც მკითხველიც ხედავს ბ ნი გომართელი არ უარყოფს, რომ ქუთაისის არჩევნებში დასელები, მართლაც, დამარცხდენ, და რომ ეს დამარცხება მათ მიერ ეროვნული საკითხის აბუჩათ აგდების გამო მოხდა.

„თფილისის გამარჯვება ჩემთვის დამარცხებაზე უარესიაო“, სწერს ბ ნი გომართელი, და თუმცა არ აღნიშნავს რატომ, მაგრამ, ცხადია, პატივცემულ ავტორს მხედველობაში სოლოლაკელთა პლუტოკრატიის ოინები აქვს ვინ არ იცის, რომ კარლო ჩხეიძეს გამარჯვება ამ პლუტოკრატიამ არგუნა, მათი ხმებით გავიდა იგი და რომ სოლოლაკლებს დასელებისთვის ზურგი ექციათ, დღე' ბ-ნი ჩხეიძე სათათბიროს კედელთა შორის ვერ მოემწყვდეოდა. ასეთი „გამარჯვების“ ღირებულობაც ბ-ნ გომართელს ღირსეულათ დაუფასებია და აკი მიტომაც ამბობს იგი—ამგვარ „გამარჯვების, დამარცხება მირჩევნიაო“ მართლაც, ნუთუ სამარცხვინო და გა-

მაწითლებელი არ უნდა იყოს ჩვენებური დასელებისთვის სომხის პლუტოკრატიასთან საარჩევნო კომბინაციებში შესვლა და ხელიხელ ჩაკიდებული გალაშქრება ქართველი ხალხისა და მისი გულწრფელი მესვეურების წინაამდეგ? მაგრამ დასელები არათუ ამაყობენ ამგვარი „გამარჯვებით“, პირიქით სომხის ბურჟუაზიას ძალთა რაოდენობის ბარომეტრათ ხმარობენ და მათკენ გადახრილი „პლუტოკრატიით“ თავი მოაქვთ, რა არის შეგვხედეთ რა ძალას წარმოვადგენთო! ამგვარი ოინებითა და ხრიკებით სურთ მათ ფონს გავიდენ და გულუბრყვილო ხალხს თავი მართლა გამარჯვებულებათ მოაჩვენონ, თუმცა ასეთი „გამარჯვება“, კიდევ ვიტყვით, მათი დამარცხებისა და უნიადაგობის მეტს არას მოასწავებს.

მათ უნიადაგობას უნდა მიეწეროს თვით გომართლის ახლანდელი გალაშქრებაც მათ წინაამდეგ. ერთ დროს იმ დროშას ქვეშ მდგომი, რომელსაც ჩვენში „ცხონებული კვალის“ დროსა და შემდეგაც მესამე დასი აფრიალებდა, იგი ევოლუციას განიცდის, ევოლუციას განიცდის მისი მწამსი და დამოკიდებულება ეროვნულ საკითხთან, იგი თანდათან ეთიშება თავის თანამოძმეთ მიმართულებით და დღეს კი თამამათ და გადაჭრით ლაპარაკობს დასელთა სექტანტობასა და იმაზე, რომ დასელების მიერ ეროვნული საკითხის აბუჩათ აგდება სიყალბეაო. დღეს გადაჭრით გვესმა, თუ რა დეფექტებს ხედავს იგი იმათში, ვისთანაც ამ რამდენიმე ხნის წინათ ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობდა, დღეს გარკვეულათ გვესმა, თუ რა გვარია მისი მწამსი და დამოკიდებულება ეროვნულ საკითხთან. იგი ეხება რა დასელების სიყალბეს, ამბობს, რომ „მე ეს ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიტყვი“... შეიძლება პატივცემულ ავტორს მზგავსი რამ მართლაც ეთქვას, შეიძლება მისი აზროვნება ამ შემთხვევაში მართლაც განსხვავდებოდა დასელთა შეხედულებისაგან, რის შედეგიც იყო ის თანდათანობითი ეჭვის გაძლიერება, რომელსაც მისდამი ადგილი ქონდა დასელთა მხრით, მაგრამ გაბედულათ იგი დღეს გვესმა მხოლოდ.

ალსანიშნავია ავტორის სიტყვები: „ფედერალისტებს ჩემთვისაც ხომ ადგილი არ შემოუძლევია და არც მე მითხოვიაო“. ალსანიშნავია ეს სიტყვები, თადგან იგი თითქოს ხაზს უსვამს ჩვენი იდეური მოწინაალმდეგეთა ჩვენდამი დამოკიდებულებას და იმას, თუ რაგვარი სკეპტიკური თვალით უყურებენ დასელები ჩვენს აზრსა და ჩვენს სიტყვას. ბ-ნი გომართელი ხაზს უსვამს იმას, რომ შეიძლება „თფილ ადგილებთან“ არავითარი დამოკიდებულება არ ექნეს ადამიანს და ამავე დროს დასელებსავით აბუჩათ არ იგდებდეს ეროვნულ საკითხს, შეიძლება, არავითარ „ადგილს“ არ თხოულობდეს ადამიანი, მაგრამ იმავე დროს დასელთა უკულმართ მოძღვრებასაც არ იზიარებდეს. ჩვენ ვიცოდით, ამ ბოლო ხანებში მაინც, რომ ბ-ნი გომართელი „საეჭვო დასელი“ იყო ეროვნულ საკითხში, ვამჩნევდით მის პასივობასაც ხარტიულ საქმეში და ეს „პასივობა“ მხოლოდ ეროვნულ საკითხში შეუთანხმობის შედეგი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მას სხვა მიზეზიც ქონია და, აი რა: „საქმე ის არის, რომ ავტორი ბევრს თავის ამხანაგებივით ცილისწამების ჟინით არის შეპყრობილიო“, ამბობს იგი ერთ დასელზე. არ შეიძლება ბ-ნი გომართლის „პასივობაში“ დასელთა ესეთი თვისებებიც არ თამაშობდეს რაიმე როლს, და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი მხრით უნდა ვსთქვათ, რომ ხსენებული მოვლენა ფრიად სასიხარულოა, რადგან დასელთა საპოლემიკო „ლექსიკონისა“ და „ეთიკის“ დახასიათება ამ ჟამათ ნეიტრალური პიროვნების ბაგეთაგან წარმოიშვა. ბ-ნი გომართელი და მისი წერილი უტყუარი სიმპტომებია იმისა, რომ ჩვენში იმ ერთი მიმართულების ხალხს არ შეიძლება ნიადაგი მტკიცე ექნეს, მით უფრო მაშინ, როცა „ეროვნულ საკითხს აბუჩათ იგდებენ“...

**იმერი.**

# ახალი ამბავი.

გუშინ ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა იყო დანიშნული წყალსადენის, ელექტრონული განათების, ტრამვაის და კანალიზაციის მოწყობის საქმეთა შესახებ. სულ გამოცხადდა 19 ხმოსანი, ხოლო კანონიერი რიცხვის შესადგენათ საჭირო იყო არა ნაკლები 22 ხმოსნის გამოცხადება. ამ მიზეზით კრება არ შესდგა. ძალიან სამწუხაროა, რომ ქალაქის მამები, რომელთაც 60 ათას მცხოვრებთაგან ქალაქის სვე ბედი ჩაბარებული აქვთ და ქალაქისათვის ამისთანა დიდ-მნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტას, რომელსაც მოუთმენლათ მოელის ყოველი მოქალაქე, ასე გულციათა და დაუდევრათ ეპყრობიან.

ქალაქის ხმოსნები, რომელნიც არჩეული არიან ქალაქის საპატრონოთ და მცხოვრებთა ინტერესების გამომხატველ საქმეთა ენერგიულათ და ბეჯითად გასაკეთებლათ, თუ ამისთანა ფრიად საჭირო საქმეს ასე გულგრილათ მოეკიდებიან, რას უნდა მოელოდენ ამათგან მცხოვრებნი, რომელთაც თავის ბატონ-პატრონობა მათთვის ჩაუბარებიათ. როგორც ქალაქი უგმგეობით არ ვარგა, ისე გამგეობა უხმოსნებოთ ვერაფერს გააკეთებს.

✦ უფროსი წევრი საგლეხო საკრებულოსი ბ. ბიბიკოვი ქუთაისიდან გადაყავთ სხვა უმაღლეს თანამდებობაზე.

✦ მომავალი პოლიტეხნიკუმის ადგილის ბედ-იღბალი თფილისში დღეს უნდა გადასწყდეს.

✦ ქუთაისში ამ მოკლე ხანში მეაბრეშუმეების სადგური გაიხსნება. სადგურს საჭირო მიწა ხაზინამ დაუთმო უფასოთ.

✦ 6 ნოემბერს ს. ხვანჭკარაში (რაჭა) მევენახეთა და მებაღეთა კრება უნდა მომხდარიყო. ქუთაისის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის შუამდგომლობით ეს კრება გადაიდვა 20 ნოემბრისათვის. ამგვარი კრება უნდა მომხდარიყო 14 ნოემბერს ზესტაფონშიც, მაგრამ ისიც გადაიდვა და 28 ნოემბერს მოხდება.

✦ სახაზინო უწყებას ჩერნომორის გუბერნიის მემამულე ი. მარტინოვთან არგვეთში სხვილი სახაზინო მამულის გაყიდვის შესახებ მოლაპარაკება აქვს გამართული, ეს მამული მდებარეობს საქარის სანერგესთან და ხაზინას ყოველწლიურათ ათიათას მანეთს შემოსავალს აძლევს. წინათ ეს მამული სტაროსელსკის, გორაევისა და ვიტმერის ყოფილა. მათგან ხაზინას 14 ათასი მანეთის ვალში ჩაუნარჩუნებია მამული.

✦ კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე აქამდი 149 წარმომადგენელი ჩაეწერა. კრება 5 დღეს გაგრძელდება.

✦ კავკასიის სამთო სამართ ველომ დ. და ა. გაფრინდაშვილებს ნება დართო სოფ. მღვიმევში შავიქვის წარმოებისა და მაღაროების გათხრისა.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის“ უკანასკნელი მორიგი ნუმერი მოზდილთა და მცირეწლოვანთათვის.

✦ პეტერბურგის ოლქის სასამართლოს მოხელე ვიშნიაკოვი პროკურორის ამხანაგათ ინიშნება ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

✦ 21 ნოემბერს კავკასიის იურიდიული საზოგადოება დღესასწაულობს 40 წლის არსებობის იუბილეს.

✦ გუშინ დაბრუნდა თფილისიდან ახლათ დამტკიცებული ქუთაისის მაზრის წინამძღოლი დ. ო. ნიჟარაძე.

✦ ფოთის ნავსადგურის მუშების გაფიცვის გამო კავკასიის რკინის გზის სამართველომ განკარგულება მოახდინა, რომ ფოთში წასასვლელი საქონლის მატარებელი სამტრედიიდან ბათომს წავიდეს.

✦ სოხუმის ოლქის სოფლებში ფოქვანსა და თოგონში წვრილი კრედიტის საზოგადოებანი გაიხსნა.

## მიმომავალი შკოლა.

ასეთი სახელი უნდა ვუწოდოთ შორაპნის მაზრის, სოფ. ალისუბნის მეორეკლასიან სამასწავლებლო სამრევლო შკოლას, რომელმაც დღიდან დაარსებისა მისი ხელმძღვანელების მეოხებით მოიცვალა ადგილი ორ მაზრაში და ახლა ამა სამოსწავლო წლის სექტემბრის თვიდან ამოყო თავი მესამე მაზრაში. მოგახსენებთ მოკლეთ ამ ბედკრული შკოლის თავგადასავალს: 1897—8 წლებში ახალი ტიპის შკოლები (второклассныя школы) უმაღლესი სასულიერო მთავრობის განკარგულებით გაიხსნა იმერეთში ორ ადგილას, ერთი შორაპნის მაზრის ს. ალისუბანში, სადაც განსვენებულმა ნიკო ჩიკვაიძემ შესწირა შენობა და ადგილი და მეორეც ქუთაისის მაზრის სოფ. ამაღლებაში, სადაც საზოგადოებამ უყიდა ადგილი და განაჩენით იკისრა შენობის აგების საქმეში მონაწილეობის მიღება. ამ სასწავლებლებს დიდხანს არ უცოცხლია ხსენებულ მაზრებში; ამ ორიოდე წლის განმავლობაში, თითქმის ერთსა და იმავე დროს, ორივე შკოლამ დალია სული: ალისუბნის—დაიწვა, ამაღლების-კი სასულიერო მთავრობამ დახურა. 1912 წელში, სექტემბრიდან, იმერეთის საეპარქიო საბჭოს წინადადებით რაჭის მაზრის და ონის მცხოვრებლებმა განაჩენით შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, რათა ალისუბნის შკოლა გადაეტანათ ონში, რისთვისაც ონელები სწირავდენ შკოლას სამ ქცევა მიწას, დროებით ქირაობდენ სადგომს შკოლისათვის და შემდეგ დახმარებას უწევდენ სამოსწავლო საბჭოს საკუთარი შენობის აშენებაში და შკოლის მოწყობაში. შკოლის გადატანა გადასწყდა; ონელებმა იქირავეს შენობა წლიურათ 500 მანეთად, გასწიეს ხარჯი 300 მანეთამდი შკოლის ნივთების გადასატანათ, შეადგინეს ახალი შენობისათვის პლანი, რომელიც დაუჯდათ 70 მანეთი და ხხვ... ამგვარათ შკოლამ იარსება ონში რვა თვეს; სამოსწავლო წლის ბოლოს ეპარქიის მეთვალყურემ ბ-მა ავერკიევმა დაათვალიერა ეს სასწავლებელი და იმის რევიზიას შედეგათ მოყვა, მოულოდნელათ ონელებისათვის, განკარგულება ამ შკოლის გადმოტანისა ქუთაისის მაზრის სოფ. დაფნარში, სადგ. საჯავახოს მახლობლათ, სადაც ქუთაისელმა ვექილმა და იქაურმა მემამულემ მიხეილ დარახველიძემ შესწირა შკოლას ადგილი და აუშენა საკუთარი ხარჯით ქვითკირის შენობა.

საბჭომ ამა სამოსწავლო წლის დასაწყისში გაგზავნა ურმები დაბა ონში შკოლის ნივთების წამოსაღებათ, მაგრამ დაბის დეპუტატებმა ნივთები მეურმეებს არ დაანებეს და გამოუშვეს ცარიელი, ეპარქიის მეთვალყურემ მისწერა რაჭის მაზრის უფროსს ბ. ლავროვს მოეხდინა განკარგულება, რათა შკოლის ნივთები გამოეგზავნათ, მაგრამ მაზრის უფროსმა უარი შემოუთვალა და მოსთხოვა „სამოსწავლო საბჭოს ზარალი 1300 მანეთამდი ონელების სასარგებლოთ და თან გუბერნატორსაც მოახსენა საქმის გარემოება. ონელებმა სამართლიანათ მოითხოვეს დანახარჯი; მორალური ზარალი კი, რაც ამ შკოლის გადატანამ გამოიწვია და 120 მოსწავლე უბინაოთ დაყარა ქუჩაზე, ამ ზარალის ჩამდენთა სინიდისზე დასტოვეს. ქუთაისის გუბერნატორმაც მაზრის უფროსის მოხსენება აცნობა ყოვლადსამღვდელო გიორგის. მეთვალყურემ რაჭის მაზრის უფროსის

# დღიური.

გენერალი სავოვი სტამბოლს წავიდა ბალკანეთის ახალი კავშირის წინაალმდეგ ოსმალეთის დახმარების მოსაპოებლათ.

— ინგლისი ოსმალეთის სომხეთში განსაკუთრებული კონსტიტუციის შემოღებას თხოულობს.

— ოკტომბრისტთა კონფერენციაზე გუჩკოვმა რეაქციონერთა წინაალმდეგ და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ცხარე სიტყვა წარმოსთქვა.

— რუსეთ-ჩინეთის დეკლარაციას ხელი მოაწერეს.

— კოკოვცოვი რუსეთს დაბრუნდა.

— ვარშავაში [illegible] ფიცა.

— სინოდის [illegible] ლერი სამსახურს თავს ანებებს.

— საქართველოს ახალი ეგზარხოსი ბაქოში 15 ნოემბერს იქნება.

— ტუზის მახლობლათ მთაშაველებსა და ალბანელებს შორის შეტაკება მოხდა.

— ცნობაა—სათათფიროს ცენტრის თავჯდომარე ლვოვი სინოდის ობერპროკურორათ ინიშნებაო.

# ეროვნული საკითხი

2) ავსტრია.

**უკრაინელნი**

ავსტრიის უკრაინა ცოტათი მეტია მთელი უკრაინის ერთ მეათედზე.

ოთხი მეხუთედი ავსტრიის უკრაინელთა ცხოვრობს გალიციაში, რომელსაც ერქვა სამეფო გალიციისა და ლოდომერიისა მეცამეტესა და მეთოთხმეტე საუკუნეებში და შემდეგაც, როდესაც მოისპო მისი დამოუკიდებლობა. მეთოთხმეტე საუკუნეში ეს მიწები დაიჭირა დიდმა პოლონეთმა და გაყო ორ „სავოევოდოთ“.

1772 წელს რომ პოლონეთი გაანაწილეს, ეს ქვეყანა დაიჩემა ავსტრიამ, რადგან ოდესმე აქ ყოფილიყო გამეფებული უნგრეთის დინასტიის წარმომადგენელი. მაგრამ ავსტრიამ წაიღო მაშინ არა მარტო ხსენებული ორი სავოევოდო, არამედ კიდევ მეზობელი მიწები ვოლინისა და პოდოლიისა და აგრეთვე პოლონელთა მიერ დასახლებული კალთები დასავლეთი კარპატებისა, ე. ი. კრაკოვისა და სანდომირის „სავოევოდოების“ ნაწილი.

და მას შემდეგ ცოტათი კიდევ გააგანიერა საზღვრები.

როგორც ზევით ვსთქვით, 1900 წლის აღწერით გალიციაში იყო სულ სამი მილიონი და 74,000 მცხოვრები. მათ შორის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდა მხოლოდ 74,000, დანარჩენი სამი მილიონი კი—აღმოსავლეთის 50 „პოვეტში“.

დამოკიდებულება პოლონელთა სხვა ერებთან ასეთია: 35 „პოვეტში“ 50% ია უკრაინელი, 18 „პოვეტში“ 70%-ზე 7-ში—80%—მეტი. საშვალო რიცხვით ხსენებულ 50 პოვეტში 70%-ია უკრაინელი, 13% ებრაელი და 16% პოლონელი.

აღმოსავლეთ გალიციას აკრავს სამხრეთით ბუკოვინი, რომელიც 1776 წლამდი შეადგენდა მოლდავიის ნაწილს. და შემდეგ გადავიდა ოსმალთა ხელშეკრულობის ძალით ავსტრიის ხელში.

ბუკოვინის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ უკრაინელნი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი—რუმინიები. სულ არის აქ 297,000 უკრაინელი და 22,000 რუმინი.

ბოლოს 409,000 უკრაინელი ცხოვრობს დიდი ხნიდან კარპატის ქედის სამხრეთით უნგრეთის საზღვართა შორის.

მთელს ამ ქვეყანაში, სადაც სჭარბობს უკრაინელ მცხოვრებთა რიცხვი, ეროვნული საკითხი მჭიდროთ არის შეკავშირებული სოციალურთან.

აღმოსავლეთი გალიციის 50 „პოვეტში“ 1890 წლის სტატისტიკით საშვალო გლეხს ქონდა $2^1/_2$—5 მორგამდი, ე. ი. $1^3/_4$—$3^1/_3$ დესეტინამდი, და ბევრს $1^1/_2$ მორგი, ან 1 დესეტინაც კი არ ქონია. ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ისიც, რომ აქ ძლიერ დაბლა სდგას სამეურნეო კულტურა და არ არის განვითარებული მრეწველობა. და გლეხები იძულებული არიან მცირე ქირით იმუშაონ დიდი პოლონელი მემამულეების მიწებზე.

უნგრეთში არავითარი ეროვნული მოძრაობა არ არის და თან ისე გაჭირვებულია ხალხი, რომ აქიდან აუარებელი ემიგრანტი მიდის ამერიკაში 1880 წლებიდან.

შედარებით უკეთ არის უკრაინელთა საქმე ბუკოვინში, რადგან რუმინებს არ შეუძლიათ შეავიწროონ ისინი ისე, როგორც ავიწროებენ პოლონელები გალიციაში და მადიარები უნგრეთში.

მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ძლიერ გამწვავდა ეროვნული ბრძოლა პოლონელებსა და უკრაინელებს შორის. მაგრამ უკრაინელთა ეროვნულმა მოძრაობამ ვერ მოიპოვა ჯერ ჯეროვანი მიმართულება. მესამოცე წლებში, მაგალითად, უკრაინელები იმზირებოდენ იმედით მოსკოვისკენ. მაგრამ მეოთხმოცე წლებდიან დაიწყო დემოკრატიულ-ლიტერატურული მოძრაობა, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ქონდა.

მეტათ გაძნელებულია უკრაინული გიმნაზიების გახსნა, ამისთვის არის საჭირო ჯერ გადაწყვეტილება „პოვეტის“ საბჭოსი, სადაც არის თორმეტი დიდი მემამულე და 12 გლეხი და წევრთა უმეტესობას პოლონელნი შეადგენენ. და ამ საბჭოს დადგენილება უნდა დაადასტუროს საშკოლო საბჭომ, რომელიც შესდგება პოლონელებისგან, და შემდეგ სეიმმა. რომლის დეპუტატთა უმეტესობაც აგრეთვე პოლონელები არიან. ხარჯი გიმნაზიაზე უნდა გაიღოს საიმპერიო ხაზინამ, მაშასადამე, უნდა ეთხოვოს საიმპერიო მთავრობას, რომლის სამინისტროშიც ზის პოლონელი ერის ინტერესების წარმომადგენელი. ამიტომაც არის ძნელი უკრაინულისა და გაადვილებულია პოლონური გიმნაზიების გახსნა.

რაც შეეხება პოლონურ უმაღლეს სასწავლებელთ, თუმცა დამოკიდებული არიან ცენტრალური მართებლობისგან, მაგრამ მოპოვებული აქეთ საკუთარი, ავტონომიური მართვა-გამგეობის უფლება.

გალიციის სახალხო განათლებას, როგორც ვსთქვით, სათავეში უდგია საშკოლო საბჭო, ანუ, როგორც პოლონელები უწოდებენ, ედუკაციონური კომისია, რომლის წევრთა შორისაც 29 პოლონელია და 6 უკრაინელი.

და, ასე გაშინჯეთ, დაბალი შკოლების გახსნაც კი დამოკიდებულია ხსენებულს ადგილობრივსა და საოლქო საბჭოებზე.

და ამგვარს ეროვნულ შევიწროებას აი რა მოყვა შედეგათ: თორმეტი წლისაზე უფროსთა შორის უკრაინელთა 78% იყო წერაკითხვის უცოდინარი, პოლონელთა კი მხოლოდ 47% (1900 წ.).

უკრაინული სახალხო შკოლები დაბალი ტიპისაა, პოლონური კი უმაღლესისა, და ამ უკანასკნელ შკოლებში სავალდებულოა პოლონური ენა, თუმცა ეს წესი ეწინააღმდეგება საიმპერიო კანონს. 1903—1904 წ. სამოსწავლო წლის დამდეგს გალიციაში იყო 49 გიმნაზია და რეალური სასწავლებელი, მათ შორის პოლონური 43, გერმანული ოთხი და უკრაინული 4.

თითოეული უკრაინული საშვალო სასწავლებლის გახსნა ისე ძნელია, რომ საშინელი პოლიტიკურისა და ეროვნული ბრძოლის მიზეზათ შეიქნება ხოლმე. პოლონური სასწავლებლების დაარსებისათვის კი საკმაოა კალმის ერთი მოსმა.

1871 წელს გალიციის უმაღლეს სასწავლებელში გერმანული ენის ადგილი პოლონურმა დაიჭირა. და მას შემდეგ პოლონელები სასტიკათ იცვენ თავის უპირატესობასა და არ აძლევენ უკრაინელთ ნებას იკითხონ ლექციები უკრაინულ ენაზე. და ხანგრძლივ ბრძოლას შემდეგ ლვოვის უნივერსიტეტმა ძლივს დაუთმო ოთხი კათედრა უკრაინულ ენას.

უკრაინულს პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე უფრო ძლიერია ნაციონალ-დემოკრატიული პარტია. 1880 წლიდან დაარსდა კიდევ მეორე ეროვნული პარტია, რადიკალური და ანტიკლერიკალური. ახალ პარტიას, სოციალდემოკრატიას, არ აქვს დიდი გავლენა, რადგან სოციალურ საკითხს უფრო უგდებს ყურს, ვიდრე ეროვნულს.

ნაციონალ-დემოკრატები მოითხოვენ აღმოსავლეთი გალიციის გაცალკევებას, ე. ი. ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას ამნაწილისთვის, რომელსაც უნდათ შეუერთონ ბუკოვინი. მანამდი კი თხოულობენ, დაარსებულ იქნას ორგანყოფილებიანი მართებლობა, ერთი პოლონელთათვის, მეორე უკრაინელთათვის, პოლონელთა „ვეტოს“ (აკრძალვის უფლების) გაუქმებას უკრაინულ სასწავლებლებზე და სხ.

და თითქმის ყველა პოლონური პარტია უარყოფს ამ მოთხოვნილებათ.

ხსენებული ფაქტებიდან შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა.

პოლონელთა და რუსინთა შორის დამოკიდებულების საკითხი უთუოდ უნდა გადაწყდეს სასურველათ, რადგან უამისოთ შეუძლებელი იქნება მათი მშვიდობიანი, ნორმალური კულტურული განვითარება. რომ უკვე გადასდგეს ნაბიჯი შერიგების გზაზე პოლონელებმა, ეს ზევით აღვნიშნეთ, და რაკი ერთხელვე დაიბადა თვით პოლონელთა შორის იდეა ეროვნული შერიგებისა, ეს იდეა, ცხადია, თავის უკანასკნელ შედეგს მიაღწევს, მისი

საქციელის შესახებ მოახსენა ყოვლადსამღვდელოს, რაზედაც მან უპასუხა მეთვალყურეს, რომ მას არ სურს სრულებით ამ საქმეში ჩარევა, რადგანაც ის თავიდანვე წინააღმდეგი იყო ონიდან ამ შკოლის გადმოტანისა. ამას შემდეგ რაღა უნდა ექნა საბჭოს, ისევ თავი დაანება ონიდან შკოლის ნივთების გადმოტანას და ყველაფერი ჩაუტოვა ონელებს. სოფ. დაფნარის მცხოვრებლებმა საქმის დასაჩქარებლათ თვითონვე იკისრეს შკოლისათვის სკამებისა და ყოველივე საჭირო ნივთის გაკეთება თავისივე ხარჯით, რას შემდეგაც ოკტომბრის თვიდან შკოლაში სწავლა უკვე დაიწყეს მასწავლებლებმა.

ვისურვოთ, რომ ეს მიმომავალი შკოლა მესამე მაზრაში მაინც დამკვიდრებულიყოს და ამაღლების შკოლის ბედი ასცდენოდეს.

**ლადო ბზვანელი.**

# დეპეშა.

(პეტ. დეპ. სააგ.).

**რ უ ს ე თ ი.**

**რიგა.** „პროვოდნიკის“ ქარხანაში ხუთას მუშას ანგარიში მისცეს და დაითხოვეს. დანარჩენმა მუშებმა მუშაობის განახლებაზე თანხმობა განაცხადეს. მუშაობა დაიწყო 1500 მუშამ.

**ურალსკი.** შავი ჭირით ავათ გახდომის შემთხვევები ისევაა; 17 უკვე გადაიცვალა.

**პეტერბურგი.** პრესის საქმეთა კანონპროექტის კომისია პროექტის მუხლობრივ განხილვას განაგრძობს. იხილვენ პროექტის 59 მუხლს. ეს მუხლი ეხება წესს პასუხისმგებელი რედაქტორის შეცვლისას. 18 ხმით წინააღმდეგ 7-სა უარყვეს ამ მუხლის ის ადგილი, სადაც სწერია, რომ ქალაქში დროული გამოცემის კანონი არ ვრცელდებოდეს მთავრობის გამოცემაზეო. მოიწონეს და მიიღეს, რომ ამ კანონპროექტს არ ემორჩილებოდეს სახელმწიფო საქალაქო საერობო წოდებრივი და უმაღლესი მთავრობის დაწესებულებები. 16 ხმით წინააღმდეგ 14-სა ღებულობენ პროექტის მე 60 მუხლს. ეს მუხლი ეხება დროულ გამოცემის იმგვარ ადგილს, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ათი ათას არ აღემატება. ამგვარ ადგილას შინაურ საქმეთა მინისტრისაგან არის ნებართვის აღება საჭირო. უკამათოდ ღებულობენ პროექტის 61—62—64 მუხლს, ხოლო 63 მუხლს კი—მცირედი შესწორებით. ხანგრძლივ კამათს იწვევს პროექტის 65 მუხლი. კამათში მონაწილეობას ღებულობენ: ბენივსენი გერასიმოვი, მილიუკოვი და სხვები.

კრების შესახებ კანონპროექტის კომისიამ თავჯდომარეთ ლიუცი აირჩია.

სამხედრო-საზღვაო უწყების საქმეთა კომისიამ სამხედრო მინისტრის მოხსენების წარმოდგენამდი სამხედრო აკადემიასთან დაკავშირებული კანონპროექტის განხილვა უარყო.

**ვარშავა.** ადგილობრივი ქარხნების ოცი ათასი მუშა გაიფიცა.

**პეტერბურგი.** გადაიცვალა სენატორი ტრონიცკი, რომელიც მცხოვრებთა პირველ აღწერას ხელმძღვანელობდა.

**უ ც ხ ო ე თ ი.**

**სოფია.** ბულგარეთის მთავრობამ ცირკულიარული ნოტით აცნობა დიდი სახელმწიფოების თავის წარმომადგენლებს, რომ ბერძნები ბულგარელ ტყვეებს არ ათავისუფლებენო, რაც საერთაშორისო კონვენციის უფლებას ეწინააღმდეგებაო. გარეშე საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა, ეს საკითხი სამედიატორო სასამართლოს მიენდოს გასარჩევათ. მთავრობამ წინასწარ განუცხადა, რომ სამედიატორო სასამართლოს დაემორჩილება. სამედიატორო სასამართლო პუანკარეს მონაწილეობით შესდგება. მთავრობამ გამოკითხა ფრაკიიდან დაბრუნებულს რამდენიმე ასს ტყვეს. ისინი სილონიკაში აჯანყების გამო სამხედრო სამართალში მიუციათ, მათთვის ბერძნებს ბევრი შევიწროება მიუყენებიათ.

**ვენა.** ტახტის მემკვიდრე ბორისი ნერვების ავათმყოფობის გამო უნგრეთის ვერთერთ საავათმყოფოში იმყოფება.

**რომი.** ფოშტის საქმეთა მინისტრათ სტატსეკრეტარი კალონი კოლოზიმო დანიშნეს, სენატის პრეზიდენტათ კი—მანფრედი; ამას გარდა 29 ახალი სენატორი აირჩიეს...

**ქაირო.** ინგლისის სამხედრო ესკადრის ადმირალი მოვიდა. გაიმართა საგანგებო სადილი, რომელსაც ინგლისელი წარჩინებული პირები დაესწრნენ.

# კ—ს.

ვარდს დააჭკნობს ზამთრის სუსხი,
ფერს შეუცვლის, დაცვინდება,
ოქროს გაცვეთს ჟამთა ქარი,
თვით სალკდენიც დაიშლება.
მხოლოდ ჰიმნი, გრძნობის ჰიმნი
სულის ქნარზე ანაწყვეტი,
უკვდავია... და რა გიძლვნა
უკეთესი ამის მეტი...

**—ცვარ-ნამი.**

* * *

ვიცი, ამ ბაღსაც ედემისას ეცვლება ფერი,
ძირს დაეცემა ფერმიხდილი ფოთოლი მჭკნარი...
ყვავილს თავდახრილს წაეყრება ქვიშა და მტვერი,
ანდერძს აუგებს მოსისინე მრისხანე ქარი...

—

გრძნობა აღმტაცი სიხარულის გულში ჩაქრება,
ედემის ნაცვლათ სხვა სურათი წინ დამიდგება...
ნეტავ მას, ვისაც გაახარებს სხვა გაზაფხული!
ნეტავ მას, ვისაც გაიტაცებს კვლავ სიყვარული!..

**ქნარი.**

## ა. ჭიჭინაძის სიტყვა.

**ივანე შარაშიძის გადაცვალებიდან წლის თავზე პანაშვიდის დროს წარმოთქმული.**

ჭეშმარიტათ ღირსშესანიშნავია გზა გავლილი იმ ადამიანის მიერ, რომლის ხსოვნის პატივისსაცემათაც აქ შეკრებილვართ დღეს. ჩვენ არა ერთი შემთხვევა გვინახავს და გაგვიგონია, რომ მრავალი დასწრებია პანაშვიდს ან დასაფლავებას ვისმესას, დიდებულათ შეუმკიათ მიცვალებულის კუბო ვერცხლისა და სხვა ძვირფასი გვირგვინებითა, მრავალი მჭევრმეტყველური სიტყვა წარმოუთქვამთ და ალუნუსხავთ საქმენი მიცვალებულთა, ნაღვაწი მათი საზოგადოებისა და ხალხისათვის და, მაშასადამე, საქებარი, მაგრამ თითონ ის პირნიც, ვის ხსოვნასაც პატივს სცემდენ ამ სახით, ყოფილან წარჩინებული თავის მდგომარეობით ცხოვრების უმაღლეს საფეხურზე, მირჭმულნი სწავლითა და განათლებითა; იგინი ყოფილან დიდებული ნიჭის პატრონი მგოსანნი, ნიჭიერი პედაგოგი და პუბლიცისტები, ან და სახელგანთქმული ქველმოქმედნი; იგინი ყოფილან თავს მდგომნი საზოგადოებისა და ხალხისა, მათი მესვეურნი, და ამის მიხედვით აღვილი გასაგებიც ყოფილა, რამ მოუყარა იმ შემთხვევებში თავი დიდს შეკრებილებას მიცვალებულთა საფლავზე. ხოლო რა იყო მიზეზი, რომ განსვენებული ივანე შარაშიძის გარდაცვალება შესამჩნევათ აღინიშნა თავის დროს ყველა ჩვენს გაზეთებში და აუარებელი ხალხი შეყარა მის კუბოსთან? ამის პასუხს გვაძლევენ მხოლოდ საქმენი მიცვალებულისა. აი, შუაგულ ხონში აგებულია დიდი შენობა! ეს არის სამასწავლებლო სემინარია, რომელიც ოცდაათი წელიწადია მასწავლებლებსა და დამრიგებლებს უგზავნის სოფლის ხალხს, სოფლის მუშას. აი, სამოქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებელი, რომელიც სულიერ საზრდოს აძლევს ხალხის იმ ნაწილს, რომელიც მოკლებულია ღონისძიებას ეზიაროს მეცნიერების წყაროს საშვალო სასწავლებლებში და აქ იკლავს წყურვილს სწავლისას. აი, კიდევ სახელოსნო შკოლა, რომელიც ასწავლის მუშა ხალხს ორ-სამნაირს ხელობას და უადვილებს პატიოსანი შრომით ლუკმა პურის მოპოებას. ახლა უფასო შკოლა უკიდურეს ღარიბთათვის, რომელიც რამდენსამე წლის განმავლობაში არსებობდა აქ და თავშესაფარს აძლევდა პაწია ვაჟებსა და ქალებს, რომელთაც ადგილი ვერ ეშოვა ორკლასიან სასწავლებელში და მიემართათ მოხუცებულ ივანესადმი ხვეწნით:—სწავლა გვინდა, ბაბუა, და გვიშველეო. სხვა სასწავლებლებს გვერდით უდგას დედათა ოთხკლასიანი სასწავლებელი მარიამის სახელობისა, რომელსაც მიზნათ აქვს: მოუმზადოს ხალხს რამდენათმე განვითარებული და შეგნებული დედა. აჰა, ბოლოს, საშვალო სასწავლებელიც ხონში! ეს არის ვაჟთა ექვსკლასიანი პროგიმნაზია, რომელიც, შესაძლებელია, მალე რვაკლასიან გიმნაზიათ გადაიქცეს და მაშინ შეეძლება ხონს პირდაპირ გზავნოს თავისი შვილები უმაღლეს სასწავლებლებში. არცერთი ხსენებული სასწავლებელთაგანი არ დაარსებულა ისე, რომ მის დაფუძნებაში ივანე შარაშიძეს მხურვალე მონაწილეობა, თაოსნობა და დაუღალავი შრომა არ ეკისროს. ივანე შარაშიძე რომ არა, შეიძლება თამამათ ვსთქვათ, ხონი ამ ჟამათ დიდათ ჩამორჩენილი იქნებოდა განათლების მხრით მზგავსათ სხვა დაბათა საქართველოში. ცხონებული მუდამ იმის ზრუნვაში იყო, რა მოეფიქრებია იმისთანა; რომ წინ წაეწია განათლებით მისი სამშობლო დაბა, ხონი, და მის გარშემო მდებარე სოფლები. ამის გულისთვის იგი არ ზოგავდა არა თუ პირად შრომას, არამედ თავის მამისეულ ქონებასაც, რომლის უმეტესი ნაწილიც გადააგო ზრუნვას სწავლა-აღზრდის საქმისათვის. ივანე შარაშიძე იყო დიდი ხნის განმავლობაში ერთადერთი თაოსანი და ხელმძღვანელი ხონისა საზოგადოებრივ საქმეში და მისი წყალობით დროზე აენთო ამ დაბაში მრავალი ლამპარი განათლებისა.

მაგრამ მარტო სულიერის განვითარებისათვის კი არ ზრუნავდა განსვენებული,—არა, იგი ბეჯითად იღვწოდა საზოგადოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვისაც. უფრო მისი მეცადინეობით განხორციელდა მდინარე ცხენისწყლიდან არხის გამოყვანა ხონში, რამაც თითქმის ერთი ხუთად და ერთი ექვსათ ასწია ნაყოფიერება მიწისა, მისი ღირსეულება და ამგვარათ სიმდიდრე შესძინა ხალხს. თითონაც პირადათ დიდხანს ემსახურებოდა წყლის საქმეს, და თუ ხონის რაიონი უზრუნველყოფილია შიმშილობისაგან გოლვების მიზეზით, აქ დიდი წილი უდევს განსვენებულს ივანე შარაშიძეს. ხალხის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება ქონდა მიზნათ სხვა აზრებსაც, რაც მუდამ უტრიალებდა მას თავში და მოსვენებას არ აძლევდა. ბოლო დროს, მაგალითად, იგი იმ ფიქრით იყო მუდამ შეცული, რომ ხონი როგორმე რკინის გზის ლიანდაგით შეერთებოდა ერთის მხრით გადმოღმა კავკასიის რკინის გზას და მეორე მხრით, მჭიდროთ დასახლებულ და ბუნებით მდიდარ სოფლებს ოდიშ-ლეჩხუმს. ამის თაობაზე არა ერთხელ ქონდა მას გამართული თათბირი საზოგადოების წარმომადგენლებთან და გარეშე საზოგადოებასაც მცოდნე კაცებთანაც. ამზადებდა ნიადაგს ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის განსახორციელებლათ, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა... საზოგადოებამ დაკარგა მეთაური, ჯერ კიდევ ცარიელია ამ მოღვაწის ადგილი. ვისურვოთ, რომ მალე გამოჩენილიყოს მისი დამჭერი და პატრონი მისცემოდეს საზოგადოებრივ საქმეს, რომ ამ მხრით ობლათ არ დარჩენილიყოს ხონი და საზოგადოება იმ პირთაგან, რომელნიც მხოლოდ ანგარების მოყვარეობას მისდევენ, თავის საკუთარ საქმეს იკეთებენ და მზათ არიან ხელი შეუშალონ საზოგადოების თვითმოქმედების გამოჩენას და მის განვითარებას.

ამ სურვილით გავათავებდი ჩემს სიტყვას ივანეზე, მაგრამ მაშინ ერთი მხარე მისი პიროვნებისა უხსენებელი დამრჩებოდა, რომელსაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პირველს, მნიშვნელობა მაგალითებრივი, გამომწვევი ადამიანში ნიჭის გაღვიძებისა, მისი ამოძრავებისა, შემოქმედებითი ძალების აღძვრისა, რითაც ადამიანი დაჯილდოვებულია ღვთაებისაგან. იმ მოღვაწეთ დიდაც ღირსთ დიდებისა და პატივისცემისა, რომელნიც ზემორე ვახსენე, სხვადასხვა პირობაც ხელს უწყობდა საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსასვლელათა და კეთილსამოქმედოთ: ადგილ-სამყოფელი მათი, სადაც იგინი ცხოვრობდენ და ატარებდენ თავის ყმაწვილობასა და სიჭაბუკეს, ნივთიერი შეძლება, გაგებულობა მშობელთა, განსაკუთრებული მზრუნველობა მათის სწავლა-აღზდისათვის, დახმარება სხვათა და სხვ. უკეთუ იმ პირთ დიდი ღვაწლი გასწიეს და შესანიშნავი კვალი დასტოვეს საზოგადოებრივი მოქმედების ასპარეზზე, ეგ ასეც უნდა ყოფილიყო, „რამეთუ ყოველსა, რომელსა მიეცა დიდათ დიდადცა მიეღოს მისგან“. ივანე შარაშიძე კი ვინ იყო? უბრალო გლეხის შვილი, შვილი ნალბანდისა, უსწავლელი კაცისა და თითონაც უსწავლელი. არსად მას ამ დროის არათუ უმაღლესი, უმდაბლესი სასწავლებელიც არ დაუსრულებია, სულაც არ ყოფილა მოსწავლეთ ახალის დროის შკოლაში. მარტო ქართული წერა-კითხვის მცოდნე, რომელიც შეესწავლა ძველებურ ქართულს პატარა შკოლაში ამ ტაძართან, სიმონა კუტის ხელმძღვანელობით, იგი გაფაციცებით ყურს უგდებდა ქართულ ჟურნალგაზეთებს, ქართველი მწერლების აზრებს, რომელიც იბეჭდებოდა „ცისკარში“, „დროებაში“, „კრებულში“, „მნათობში“ და სხვ. სადაც კი გამოჩნდებოდა ვინმე განვითარებული ქართველი ან წრე შესდგებოდა პატარა რომლისამე საზოგადოებრივის მიზნითა, იგი ყოველს ღონეს ხმარობდა გაცნობოდა ამ პირთ, რაიმე ახალი შეეტყო. შეეთვისებია და შემდგომ გამოეყენებია ცხოვრებაში. ივანე იყონამდვილი მოწაფე ხალხის ბუნებრივის ცხოვრებისა, ქართველ მწერალთა გავლენას ქვეშ აღზდილი. ღვთისაგან ბოძებული სულიერი ძალები თავისი მან არ დაახშო, ავარჯიშა თვითმოქმედებითა და იმ ნიჭით, რომელიც დაყოლილი ქონდა მას, როგორც ხალხის შვილს. ამ ნიჭმა და თვითმოქმედებამ ბევრი კარგი საქმე გააკეთებია ცხონებულს და გახადა იგი საზოგადოების მოღვაწეთ, რომელსაც იცნობდენ და პატივს სცემდენ ჩვენი ცნობილი მოღვაწეები და თვითონ საზოგადოებაც როგორც ხონში, ისე სხვაგანაც ჩვენს სამშობლოში. ცხონებულზე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იგი ჭეშმარიტათ არა გავდა იმ მონას, „რომელმან, როგორც მოგვითხრობს იგავი მაცხოვრისა, „მიიღო იგი ერთი (ქანქარი), წარვიდა და მოთხარა და დაფლა ქვეყანასა ვეცხლი იგი უფლისათვისისა“. არა, ივანეს თამამათ შეუძლია წარსდგეს წინაშე უფლისა და სთქვას: „უფალო, ერთი ქანქარი მომეც მე; ვუწყოდი, რამეთუ ფიცხელი ხარ შენ და აჰა სხვა ერთი შევსძინე“.

საუცხოო მაგალითია ბევრისათვის, როგორც მოზარდი თაობისათვის, ისე მოწიფულებისა და ხანში შესულებისთვისაც. ბევრი იმას ფიქრობს, რომ საზოგადოებრივი ღვაწლი და კეთილი მოქმედება ხალხისათვის ვითომ და მხოლოდ იმათი წილხდომილი იყოს, რომელთაც სასწავლებლები დაუსრულებიათ და დიპლომები მიუღიათ. არა ბატონებო, ყოველ კაცს აქვს ნიჭი, ღვთისგან ბოძებული, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები, მაგრამ ნაკლების მქონეც, უკეთუ იგი ნაპერწკალს ღვთისას არ ჩააქრობს თავის გულში, მას, პატარა კაცსაც, შეუძლია ბევრი საქმე გააკეთოს თავის ხალხისათვის, საზოგადოთ მოყვასისათვის და მით უკვდავ ყოს თავისი სახელი.

ვითავებ სიტყვას და გავიმეორებ უკვე წარმოთქმულს ჩემ მიერ სურვილს: ღმერთმა ნუ მოუშალოს ხონს და მთელ ჩვენს სამშობლოს მოღვაწეები საზოგადო

---

ევოლუციის შეჩერება შეუძლებელი-ღაა. მაშასადამე სხვათა შორის ეს ფაქტიც აქარწყლებს ბ. „ნარიძის აზრს, ვითომ ეროვნული საკითხის გადაჭრა შეუძლებელი იყოს ბურჟუაზიულ წესწყობილებაში.

მაგრამ როგორ, რა ნიადაგზე შეიძლება მოხდეს შერიგება?—შეიძლება დაარსდეს გალიციაში ორგანყოფილებიანი მართებლობა, ე. ი. პოლონური და უკრაინული. უკრაინული უმაღლესი საბჭო გააწესებს მოხელეებს, დააარსებს შკოლებსა და სხ. უკრაინაში. ერთი სიტყვით, შესაძლებელი იქნება განსაზღვრა, გამიჯნვა ეროვნული ინტერესებისა ისე, რომ არცერთი ერის ინტერესები არ იჩრდილებოდეს. და განა ეს იგივე ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია არ იქნება?

დიახ! ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია შესაძლებელია იქაც, სადაც ცხოვრობს ორი ან სამი ერი, და შეუძლებელია იქ, სადაც ბევრი ერია ერთად თავმოყრილი. როგორც, მაგალითად, ამიერ კავკასიაში. მაგრამ ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

შეიძლება გადაწყდეს გალიციის საკითხი სხვაგვარათაც: დასავლეთი გალიციისაგან წარმოსდგეს პოლონური ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია, აღმოსავლეთი გალიციისაგან კი უკრაინული. მაშინ დასავლეთში სრულიად აღარ ექნება ადგილი ეროვნულ ბრძოლას, აღმოსავლეთში კი უნდა დაარსდეს ორ ან სამ განყოფილებიანი მართველობა: უკრაინელთა, პოლონელთა და ებრაელთათვის დაახლოებით ისეთი, როგორიც არის მორავიაში, მაგრამ, რასაკვირველია, კიდევ უფრო გაუმჯობესებული და დემოკრატიული.

ახლა განვიხილოთ შპრინგერის პლანი, მისი აზრის თანახმათ გალიცია უნდა დანაწილდეს პატარა ოლქებათ. თითოეული რამდენათაც შეიძლება, უნდა იყოს დასახელებული ერთგვარი ეროვნული ელემენტით. თითოეულ ამ ოლქს ექნება ადმინისტრაციული თვითმართველობა, რომელიც იქნება დამოკიდებული ავსტრიის საერთო პარლამენტისაგან. იმავე დროს გალიციისა, სილეზიისა და სხვა ქვეყნების პოლონელებს ექნებათ ეროვნული პარლამენტი ეროვნულ-კულტურული საქმეებისათვის. და ცხადია, დამოკიდებულება ამდენ მთავრობათა შორის ისე რთული იქნება რომ შეუძლებელი გახდება ამ დახლართული კვანძის გამორკვევა.

შპრინგერის პლანი განუხორციელებელია.

ჯერ ერთი, როგორცა ვსთქვით, პოლონელები თავის დღეში არ დასთანხმდებიან, რომ არ ქონდესთ გალიციაში ისეთი სეიმი, რომლის ხელშიც იქნება, როგორც ადმინისტრატიული, აგრეთვე ეროვნულ-კულტურული საქმეები, ვერ შეელევიან ამგვარსავე იდეალს ვერც რუსინები. ამგვარათ შპრინგერის იდეალი ვერ მიიზიდავს ვერცერთ ერს, რომელსაც აქვს ტერიტორია.

მეორე, შეუძლებელია ადმინისტრაციული, ფინანსიური, და ეკონომიური მხარეები ჩამოაშორო კულტურულსა და ეროვნულს. თითოეულმა ოლქმა შეიძლება იმდენი გადასახადი დაადოს ხალხს რამე მატერიალური საჭიროებისათვის, რომ დაუშრიტოს წყარო გადასახადის დადებისა ეროვნული ავტონომიის პარლამენტს. ვინ უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი? ვისი დადგენილება უფრო სავალდებულო უნდა იყოს ხალხისათვის?

პირიქით, კულტურულ-ეროვნული, ეკონომიური და ადმინისტრაციული საკითხები განუშორებელია ერთმანეთისაგან, მათ შორის ჰარმონიული კავშირია. ერთი რა იგივე ავტონომიური. ერთეული ერთმანეთს შეუფარდებს და შეუწონავს მრავალგვარ მოთხოვნილებასა და პირველათ იმ მოთხოვნილებას მიეშველება, რომელიც უფრო ნაკლებათ არის დაკმაყოფილებული.

მეორე მხრით შეუძლებელია გამოიყოს და მიენდოს მარტო სწავლა განათლების საქმე ისეთ მთავრობას, რომელსაც არაფერი ეცოდინება ერის სხვა კულტურული საჭიროებისა და გაჭირვებისა. ამგვარი გაუგებრობა დაბადებს დიდ უთანხმოებას ეროვნულ ავტონომიასა და ადგილობრივ ოლქებსა და საიმპერიო პარლამენტს შორის. შეიქნება დაუსრულებელი ბრძოლა, რომელსაც შედეგათ მოყვება საშინელი საერთო არევ-დარევა და მტრობა.

ამასგარდა შეუძლებელი იქნება განსაზღვრა ავსტრიის საერთო პარლამენტის უფლებისა და, მაგალითად, პოლონელთა ნაციონალური პარლამენტის უფლებათა. და სხვათა შორის ესეც გახდება მიზეზათ საშინელი უთანხმოებისა.

ამგვარად შპრინგერი კი არ ამარტივებს, არამედ ართულებს საკითხს; და ისეთს პოლიტიკურ პლანს ქსოვს, რომელიც კიდევ უფრო გაამწვავებს მტრობას ერთა შორის.

(ფაკტები უკრაინის შესახება ამოვიღე პროფეს. გრუშევსკის წერილიდან, რომელიც არის მოთავსებული იმავე კრებულში).

**ნესტარი.**

(შემდეგი იქნება)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვ—ბის ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის

## ხ. ხრისტოდულიდის

(რომელსაც წინათ ქძახდნენ ბერძნები)

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდი ა/წ. შეიძენს თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთისა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ. ... და წარმოადგინონ ბე ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.



დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიჭოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სახლ-ჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმლები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საელვესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი სახლ-ჯახო ნივთი, აურებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


სარჩიელზე და ნურც ამ კაცის ამაგი დაივიწყოს ხონის საზოგადოებამ, რომელიც ზნეობრივ ვალდებულია ძეგლი დაუდგას ხალხის შვილს, ხალხისთვის მოღვაწეს. უნდა მოგახსენოთ, ძალიან უხერხული კი იქნება ადგილობრივი საზოგადოებისათვის, რომ დავიწყებას მისცეს ეს არამყვირალა, თავდაბალი მოღვაწე და მხოლოდ მით დაბოლოვდეს საქმე, რომ, თუ რამ დარჩენია ცხონებულს, იგი მოვახშეებმა გაინაწილონ. თუ ასე მოხდა, ეგ იქნება მოვლენა დამახასიათებელი უნუგეშო საზოგადოებრივის ცხოვრებისა, და მაშინ საფუძველი გვექნება ნაღვლიანათ ვსთქვათ: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ჩემსაზედა განიგდეს წილი".

## დაბა-სოფლები.

**ს. ჭოგნარი.** ეს სოფელი დაშორებულია ქ. ქუთაისს 8 ვერსისა და რკ. გზ. სადგურ აჯამეთს—3 ვერსის მანძილზე. ოთხას კომლ მოსახლეს შეიცავს. მაგრამ ხალხი ძლიერ ჩამორჩენილია სწავლა-განათლების მხრით. სოფელს არაფერი კულტურული დაწესებულება არ გააჩნია ერთკლასიანი სასწავლებლის მეტი. შკოლის შენობის შეხედვა ცუდ შთაბეჭდილებას მოგგვრის: დაბალი, ძველი ხის სახლი, ერთ ოთახიანი, რომელზეც მიშენებულია ხისვე პატარა ოთახი ეკლესიის ლამის დარაჯთათვის. სახლი ყავრით დახურულია და წვიმა თავისუფლათ ჩადის. ხედავთ, და არ გჯერათ, თუ მართლა აქ მოათავსა სასწავლებელი თავის შვილებისთვის 400 კომლმა, რომლის უმეტესობასაც კოხტა „ეკლარის"—ქვის, ან ლამაზი, ფიცრული და კრამიტით დახურული ოდები უდგიათ. კაი ხანია, რამდენიმე გულ შემატკივარი პირი ენერგიულათ შეუდგა ორკლასიანი სასწავლებლის დაარსებას, ხალხსაც ხელი მოაწერიეს განაჩენზე და სასწავლებლის დაწყებაც მალე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ახლა, რაღაც მიზეზების გამო, შეფერხდა საქმე; ღვდელი და ადგილობრივი შკოლის მზრუნველი ძლიერ ცდილობენ, მალე დაგვირგვინდეს შკოლის საქმე. ახლათ გადმოყვანილი მასწავლებელი ქალიც ბეჯითად ეკიდება თავის მოვალეობას. მართალია, სოფ. ჭოგნარიც ძლიერ დააზარალა წრევანდელმა გვალვებმა. ჭოგნარლებს საკუთარი სახნავი მიწა არ აქვთ და საზდოობენ დაქირავებული მიწების მოსავლით. წინათ, სანამ თვითონ ბ. ანანოვისგან ქირაობდენ სახნავ მიწებს, ფასები ხელსაყრელი იყო გლეხებისათვის. მაგრამ სამ წელზე მეტია, ეს სახნავი ადგილები ბ. ანანოვმა იჯარით თათრებს გადასცა, რომელთაც მიწებზე ფასს საკმაოთ აუწიეს. სოფლელებიც იძულებული არიან გადაიხადონ რადგან მიწა არ მოეპოებათ. მოიჯარადრემ გაუშვა დიდი ფარა-ცხვრისა, რომელიც გადმოდის სოფლელების საძოვარზე და შეუბრალებლათ ანადგურებს. ხშირათ ფარაში ავათმყოფობა ჩნდება, რაც, თავის თავათ ცხადია, არც სოფლელების საქონელს შეიწყნარებს. რადგან მოიჯარადრებთან არაფერი ხვეწნა-მუდარა არ გადის, ჭოგნარლებს განზრახვა აქვთ მიმართონ ბ. ანანოვს და სთხოვონ მოიჯარადების მადის ალაგმვა, რასაც ბატონი ანანოვი, როგორც ლმობიერი მემამულე და გლეხებზე გულშემატკივარი ადამიანი, იმედია, ყურადღებას მიაქცევს.

ჭოგნარელი.

**ლანჩხუთი.** (გურია) ლანჩხუთი პირველხარისხოვანი დაბაა გურიაში. მის ღირსებას თავი დავანებოთ და გადავიდეთ ადგილობრივ ინტელიგენციაზე: უმრავლესობა აქაური ინტელიგენციისა მოსულია სხვადასხვა დაბა-სოფლიდან. მათი მიზანია: საცეცხლური აილონ და უკმიონ მამონას, ბახუსსა და ქალ-ღმერთას. საზოგადო საქმისათვის მათ არა ცხელათ. რომ კითხოთ:—ჩვენ საზოგადო შრომას დღისითა და ღამით ვეწევითო, იმის არ იყოს, რომ ერთმა ადგილობრივმა ახალგაზდა ვაჭარმა სვანიშვილმა ერთჯერ სთქვა: „მართალია, გლეხის შრომა არა მაქვს, მაგრამ მეც გლეხსავით მადლიანი ბურცები მაქვსო". მაჩვენა ხელი და, თურმე ნუ იტყით, იმ ყმაწვილს ლურსმანზე ხელი შეეკრა, გასივებოდა, მერე გამსკდარიყო და დაბედებოდა. ასეთია ადგილობრივ ინტელიგენტთა შრომა: დადიან დღისითა და ღამით საზოგადო საქმეზე კი არა, საზოგადო შარაზე, ჩაისეირნებენ და ამოისეირნებენ. ვინც აქაური არის, ზოგი სხვაგანაა გადახვეწილი, ზოგი კი საგათას ძილითაა შეპყრობილი. დროა, გამოიღვიძონ და მიხვდენ, რომ ლანჩხუთისთანა საუკეთესო დაბამ კი არა, კუმთის მცირე რიცხოვანმა საზოგადოებამ დაიარსა საზოგადო აფთიაქი. ამას გარდა, როგორც გავიგეთ, ადგილობრივ მკვიდრთა მოწვევით, და ფერშალი ორაგველიძის დახმარებით, ბ. ექიმი ივანე გომართელი სოფელ ლესაში საზოგადო საავათმყოფოს გახსნას ეპირება, და ყოველ თვეში სამ დღეს იქ დაყოფსო. ნუთუ ლანჩხუთლები გულზე ხელებ დაკრეფილი უნდა იყურებოდენ მაშინ, როცა სხვა სოფლებში არსდება კოოპერატიული დუქნები, საზოგადო აფთიაქები და სხვ? მაგრამ, არ უნდათ, რომ თვალი გაახილონ, მათ სურთ, რომ მაინცადამაინც ადგილობრივ ვაჭრუკანებსა და სოფლელ აქიმბაშებს ატყავებინონ თავი. თუ კი ეცდება ლანჩხუთი, იქ ადვილათ მოხერხდება კოოპერატიული დუქანი, საზოგადო აფთიაქი, სახალხო იაფფასიანი წარმოდგენები და სხვა, თუ გული იქნება.

სკურდისპირელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ, სიმართლის აღსადგენათ ადგილი დაუთმოთ ამ ჩვენს წერილს თქვენს გაზეთში.

მერცხლის 74-ტე ნუმერში დაბეჭდილია ქუთაისის საბჭოს სხდომის ანგარიში, სადაც მოყვანილია სიტყვა ხმოსნის ბ-ნი ნასარიძისა, რომელიც, სხვათა შორის, ეხება „წყალთა-შუა" ადგილს და ამბობს შემდეგს: „მეორე მამული სახელწოდებით „წყალთა-შუა" შევიძინეთ ამ ცოტა ხნის წინათ, მაგრამ ამ ადგილის ნაწილი ვიღაც კერძო პირს მიუთვისებია. ბოროტი ენები ამბობენ—ერთ გამგეობის წევრს ადგილის მიმთვისებელმა სამასი მანეთი მისცა და ამით ჩააჩუმაო. რასაკვირველია, მე ამ ხმებს ვერ ვერწმუნები, მაგრამ თუ ამ ადგილის ნაწილი კერძო პირმა ჩამოგვაცალა, მაშინ მთელ „წყალთა-შუას" ფასი დაეკარგებაო" და სხვა...

მკითხველი ქვემოთ დაინახავს რა სიმართლეცაა ბ. ხმოსნის სიტყვაში.

ამ ცოტა ხნის წინათ შევიძინეთ მამულიო—ამბობს ბ-ნი ნასარიძე. ამ ცოტა ხნის წინათ არაფერი მამული შეგიძენიათ; შეიძინეთ ოცდა ხუთის, თუ უფრო მეტი, წლის წინათ ბროკესაგან პატარა ადგილი რიონის პირათ არა უმეტესი ოთხმოცდა ათი საჟენისა, რომელიც დღეს გადიდდა და ათასზე მეტ საჟენს აღემატება, ვინაიდან მდინარე რიონმა დაიწია და ქალაქმა, როგორც მეპატრონემ იმ პატარა ადვილისამ, რომელსაც ესაზღვრებოდა მდინარე რიონი, იგულისხმა არსებული კანონის ძალა-უფლება და ჩადგა შიგ. არავის იგი ქალაქისთვის არ წაურთმევია, ფლობს აგერ ორი წელიწადია ათასზე მეტს საჟენ ადგილს, ესე იგი ბევრათ უფრო მეტს ნაწილს ადგილისას, რაც მიემატა ბუტულაშვილების ადგილს იმავე მდ. რიონის დაწევით; აგრეთვე მას მიემატა შუტცის ადგილები წყლის პირათ მიტოვებული.

ჩვენს ადგილებზე მომატებულს ჩვენც დავეპატრონეთ და დავიუფლეთ დიდი ხნიდან, ვინაიდან იგი შეკავებული არ გვქონდა და ვშიშობდით ისევ მდინარეს არ მოეტაცა, ვმაცადინობდით მოგვეზვინვა და უფრო აგვემაღლებია.—როდესაც ქალაქის გამგეობამ თავისი ნაწილი ადგილი დალაქიშვილს მისცა იჯარით, ჩვენც ჩვენი წილი შევიკავეთ. ძმ. ქორქოლაძეებმა თავისი ნაწილი ჩაბარებისთანავე შეიკავეს და არც ვინმე წინააღმდეგი ამოჩენილა,—ბუტულაშვილებს კი შეუჩერეს მუშაობა. მაშინ გ. ბუტულაშვილი მიმართავს ქალაქის გამგეობას და სთხოვს, ადგილობრივ დათვალიერებას იმ ადგილისას. გამგეობის წევრმა ადგილობრივ დაათვალიერა ის ადგილი, განიხილა ბუტულაშვილების კანონიერი საბუთები და სცნო ბუტულაშვილების სიმართლე და ნებაც მისცა ადგილის შეკავებისა.—

რაც შეეხება იმ ჭორსა, და ჭორზე აგებულ სიტყვას ბ. ხმოსნისას, რომ ვითომ ერთმა წევრმა სამასი მანეთი მიიღო და ამით ჩაჩუმდაო, ეს ისეთი მოჭორილი ამბავია, შეიძლება მხოლოდ სიცილით შეხვდე კაცი მას. ყოვლადულოღიკო და აზრს მოკლებული იქნებოდა, რომ რომელიმე ჩვენთაგანს მიეცეს ჩვენი კანონიერი საქმისთვის ჩასაჩუმებელი სამასი მანეთი და ისიც იმ ადგილისთვის, რომელიც მდებარეობს ყოველგვარ სიბინძურის საყრელ ადგილთან და რომელსაც დღეს თუ ხვალ, ვინ იცის, ისევ სტიქიური მოვლენით არ დაიბრუნებს იგივე მდინარე რიონი.

ზაქარია ბუტულაშვილი, ვარდენ ქორქოლაძე.

## პასუხათ პრავიზორს გ. ნარეშელაშვილს.

გაზეთი „ერის" მეექვსე ნუმერში თქვენ უარს აცხადებთ ჩემთან სამედიატორო სამართალში გამოყოლაზე. თქვენი მოქმედება თუ სიმართლეზე იყო დამყარებული, რათ გაექეცით ზნეობრივ სასამართლოს და შეეფარეთ კომისიის დადგენილებას, რომელმაც ორჯერ გამოიძია ჩემი საქმე და ორივეჯერ ჩემ დაუსწრებლათ; მით უფრო, რომ კომისიის თავჯდომარემ აღმითქვა გამოძიების დროს, როგორც მომჩივანს თქვენ დაგისწრებთო. და აი ამიტომაც გვერდი ავუარე ასეთ გამომძიებლებს და მივმართე ზნეობრივ სასამართლოს, რათა მათ გამოერკვიათ—ვინ იყო ჩვენს შორის მართალი, მაგრამ ასეთი გზა თქვენ არ ინებეთ.

აბესალომ კუჭაიძე.

რედაქ.-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**




ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).

**ა. თაბაგრის მაღაზიაში.**

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი. ფასები ძლიერ დაკლებულია. ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

## კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში

(ქუთაისში.)

იყიდება შემდეგი თხზულებანი

ანტონ ფურცელაძისა: 1. გ. საავაძე და მისი დრო. (სურათ.) ფ. 1 მან.

| | | |
|---|---|---|
| მისივე | 2. თამარ დაზნელი | — 10 შ. |
| ,, | 3. მაცი ხვიტია (ისტორ. რომ. სამეგ. ცხოვრ. | — 10 შ. |
| ,, | 4. ასული ისრაელისა (ხუთ მოქმედ. ტრაგ.) | — 6 შ. |
| ,, | 5. ქიტესა (მოთხრობა) | — 3 შ. |
| ,, | 6. წყალობა (პოემა) | — 2 შ. |
| ,, | 7. კატობრიობა და ხალხოსნობა | — 1 აბაზი |
| ,, | 8. მამულის საერთო მფლობელობა | — 2 შ. |
| ,, | 9. ფული და მათი მნიშვნელობა | — 2 შ. |
| ,, | 10. ჩვენებური საქმის ბოლო | — 6 შ. |

## გამოცდილი მასწავლებელი,

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ამზადებს და ამეორებიებს საშუალო სასწავლებლის მოწაფეებს (და ყველა მსურველსაც) ქართულსა და რუსულ ენებს, ლიტერატურასა და ისტორიას.

აქვე შეიძლება მიღება რჩევა-დარიგებისა

## სამოსამართლო საქმეების შესახებ.

მოსწავლენი მიიღებიან ნაშვადღევის 5—6 საათამდი, კლიენტები-კი—საღამოს 6—7 საათამდი. კათოლიკეს ქუჩა სახლი ხოჯევანოვისა, ბინა ი. თ. ცინცაძისა.

## გ. გორდამისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაე-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან

**მიღებული რკინეული**

საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სადებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე „კლდე ყლურული" ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამუნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მეღვინე—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში **ვ. ტიეგო.**